



პ რ ე ს რ ე ლ ი ზ ი

ქუთაისი, 09.03.2017

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ვებპლატფორმის - „ბიუჯეტის მონიტორის“ პრეზენტაცია საქართველოს პარლამენტში

9 მარტს სახელმწიფო აუდიტის სამსახური საქართველოს პარლამენტში ახალი ვებპლატფორმის - „ბიუჯეტის მონიტორის“ გახსნასთან დაკავშირებულ ღონისძიებას მართავს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ვებპლატფორმის budgetmonitor.ge შექმნით საჯარო რესურსების მონიტორინგი კიდევ უფრო მარტივი და გამჭვირვალე გახადა ნებისმიერი პირისთვის.

ვებ პლატფორმა პარლამენტის წევრებს, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს, დაინტერესებულ ექსპერტებსა და მოქალაქეებს უნიკალურ შესაძლებლობას აძლევს, აირჩიონ მათთვის საინტერესო სფერო და მყისიერად მიიღონ მუდმივად განახლებადი და სანდო ინფორმაცია სახელმწიფო შემოსავლების, ხარჯების, ვალის, ინფრასტრუქტურული პროექტების, პროგრამული ბიუჯეტის, შესყიდვების, და აღნიშნულ საკითხებზე აუდიტის შედეგად გამოვლენილი ხარვეზებისა და რეკომენდაციების შესახებ.

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შექმნა ინოვაციური ვებპლატფორმა „ბიუჯეტის მონიტორი“, რომელსაც ანალოგი არ აქვს. ვებგვერდი ინტერაქციულია და მომხმარებელს შეუძლია, მიიღოს საჯარო რესურსების მართვასთან დაკავშირებული დიდი მოცულობის ინფორმაცია მარტივად აღქმადი ფორმით, მოახდინოს სასურველი ინფორმაციის არჩევა, დამუშავება, სხვა მონაცემებთან შედარება, პროგნოზირება“, - განაცხადა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალურმა აუდიტორმა ლაშა თორდიამ.

ღონისძიებაზე მოწვეულნი არიან: საქართველოს პარლამენტის წევრები, საჯარო ფინანსების მართვის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის წარმომადგენლები.